# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



კნეინა მარიამ ზაქარიას ასული ერისთავისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ნახევარ წლის წირვასა და პანაშვიდზე მოსახსენებლად გარდაცვალებულის ქმრისა მისისა თავ. დავით გიორგის ძის ერისთავისა კვირას, 7 აპრილს, დილის 10 საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში. (2—2)

თეიმურაზ ზაქარიას ძე კაშანაძე სთხოვს პატივის მცემელთ განსვენებულის თავ. დავით გიორგის ძის ერისთავისას მობრძანდნენ გორის საკრებულო ტაძარში, სადაც იქმნება გარდახდილი პანაშვიდი ხუთშაბათს, 11 აპრილს, დილის 12 საათზე განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—1)


## ახალი ამბავი

*** მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ შემდეგი პასუხი მოსწერა დეპეშით ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ იზმაილოვს:

დიდად მანუგეშა და მიშველა ამ ჩემს გაჭირვებაში იმ გარემოებამ, რომ ჩემის სამშობლო ტფილისის ქალაქის მცხოვრებთ ისურვეს გვირგვინით შემკობა ჩემის დაუვიწყარის მეუღლის კუბოსი. გთხოვთ ჩემი გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემთვის ესრედ მეგარეზას ტფილისის წარმომადგენელთა და მცხოვრებლთ საზოგადოებისთვის.

*** ტფილისის ებრაელთა რაბინმა პასუხად იმ სამძიმრის დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა მის უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, მიიღო შემდეგი:

დიდად მანუგეშა თქვენმა სამძიმარმა და გულით გმადლობთ თქვენ და ტფილისის ებრაელთ ჩემს უზომო მწუხარებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

მიხეილი

აი შინაარსი იმ დეპეშისა, რომელიც ბ-ნმა ხიდეკელმა გაუგზავნა:

ტფილისის ებრაელნი თქვენის უავგუსტოესის მეუღლის უდროოდ გარდაცვალების გამო დიდად შეწუხებულნი უცხადებენ თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას გულითადს სამძიმარსა და გამოუთქმელს მწუხარებას. გულ მხურვალედ ევედრებიან უზენაესს, რომ მისს უმაღლესობის სულს განსვენება დაუმკვიდროს, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ შემლება, რომ ამ უსასყიდლო დასაკლისს გაუძლოთ.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების თავმჯდომარემ ქ. ზ. მელიქ-ბეგლიაროვმა მისს იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის [illegible]-გან, რომელიც ამ საზოგადოების მფარველი ბრძანდება, შემდეგი დეპეშა მიიღო:

გულით გმადლობთ თქვენც და საზოგადოებასაც, რომ ჩემს დიდ მწუხარებაში გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღეთ.

ეს დეპეშა შემდეგის დეპეშის პასუხია.

„ტფილისის პირუტყვთა მფარველი საზოგადოება, უსაზღვროდ მწუხარე თავისის საპატიო თავმჯდომარე დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის უცბად გარდაცვალების გამო, უცხადებს თქვენ იმპერატორებითს უმაღლესობას ულრმეს სამძიმარს და ევედრება უზენაესს, რომ ნუგეში გცეთ თქვენ და თქვენ უავგუსტოეს სახლობას“.

*** ამა თთვის 3, 4 და 5 ტფილისის ფერიცვალების ანუ დარიის მონასტერში გარდახდილ იქმნა ძმათაგან ამა მონასტრისა პანაშვიდი ახლად ღვთით-გარდაცვალებულის დიდის მავრინას ოლგა თეოდორეს ასულის სულის მოსახსენებლად.

*** ორის დღის განმავლობაში—4 და 5 აპრილს—სანიტარის ექიმს ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას დაუვლია ას თერთმეტამდე ხორცისა, თევზისა და პურის დუქნები, სამიკიტნოები და სხვ. ბაზრის ქუჩაზე ვანო ლიგალოვს უპოვნეს გაფუჭებული ცხვრის ხორცი 8 გირვანქა, იარმუკაში 25 გირვანქა ბატკნის ხორცი, მეტეხის აღმართზე არუთ-ოღლის 22 უვარგისი პური უპოვეს. ყველა ეს გამოართვეს პატრონებს და გადაჰყარეს.

*** ხაშური: 4 აპრილს, სალამოს რვა საათზედ და ორმოც წუთზე ქარელის სადგურიდამ ძლიერმა ქარმა მოიტაცა ქერით დატვირთული ვაგო-[illegible] სადგურისაკენ. ამავე დროს სკრის სადგურიდამ დაიძრა საქონლის მატარებელი, № 38; გამოქანებული ვაგონი დაეჯახა ამ მატარებლის ორთქლ-მავალს და ლიანდაგიდამ მინდორზე გადავარდა. ვაგონი დაიმსხვრა, მაგრამ არც ორთქლ-მავალი დარჩა მთელი: იმდენად დაზიანდა, რომ მატარებელი № 38 ვერ დაძრა ადგილიდამ. ეს გარემოება საჩქაროდ სადგურის უფროსს აცნობეს; ამანაც მოხსნა მატარებელს № 37, რომელიც მოელოდა № 38 მატარებლის მოსვლას, ორთქლ-მავალი და მიაშველა დაზიანებულს მატარებელს.

ამ ამბის დროს არავითარი უბედურება არ მომხდარა, ადამიანი არ დაშავებულა და არც ლიანდაგი დაზიანებულა.

*** თელავი: კვირას, 31 მარტს, აქაურის კლუბის დარბაზში ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ იყო გამართული ქართული წარმოდგენა. მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნთ კახიძისამ, დიდებულიძისამ და ბბ-ნთ აწყურელმა, გამყრელიძემ, ზურაბოვმა და სხვ.—წარმოადგინეს პირველად მესამე მოქმედება აკაკის დრამისა „თამარ-ცბიერი“. ცოტა არ იყოს სუსტად ჩაატარეს, და ზოგიერთს ტანისამოსიც არ ეცვა პიესის შესაფერი.—მეორედ ითამაშეს სუნდუკიანცის ვოდევილი „ღამე ერთი ცხვირი ხეირია“. ვოდევილში ყველამ კარგად ითამაშა. თავი იჩინა ბ-ნმა გამყრელიძემ ოსკან-პეტროვიჩის როლში. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი აწყურელი არუთინ ჰარტაროვის როლში; კარგად ითამაშეს აგრეთვე ქ-ნთ კახიძისამ და დიდებულიძისამ. მესამედ წარმოადგინეს „გულმა იგრძნო“. ყველამ კარგად და რიგიანად [illegible] აქაც [illegible] როლი. ამ ვოდევილში თავი იჩინა უფრო დიდებულიძის ქალმა ნინოს როლში და მაყურებელნი აღტაცებაში მოიყვანა თავის ცქრიალა და ცქვიტის თამაშობით.

ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

არტისტები ახლა ბლომად გვყავს და, იმედია, წარმოდგენებიც ხშირად გაიმართება, მაგრამ, საუბედუროდ, სცენა არა გვაქვს რიგიანი. ერთად-ერთი სცენაა კლუბის დარბაზში და ისიც ძალიან პატარა, კლუბის ქირასკი ორ თუმანს ილებენ ღამეში. ამის გამო ზოგიერთებს განზრახვა აქვთ სამუდამო სცენა დააარსონ აქა და შენობაც შესაფერი იზრუნონ მისთვის.

*** ხცისი (გორის მაზრა): აქ ბავლაც უცნაური სენი გაჩნდა დიდ-მარხვის პირველ კვირიდამ და, ცოტა არ იყოს, დიდი ზარალიც მოაქვს. თუმცა ბევრნი გადურჩნენ ამ სენს, მაგრამ კარგა ხანს-კი იყვნენ ლოგინად ჩავარდნილნი. არ იქნება ურიგო, რომ ყურადღებას მიაქცევდნენ ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს.

*** 5 აპრილს გილაც შეხედულებით 11 წლის ბიჭი მეტეხის ციხის ხიდიდგან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო. ამ ამბის დამსწრენი იყვნენ ნატალია პეტრუსოვისა და მართა ოჰანეზოვისა. დამრჩვალის ვინაობის შესატყობლად გამოძიება სწარმოებს.

## ნამდვილ-ქუცმაცი

დევ-გმირ მწერალის ავტობიოგრაფია

„მე რომ დავიბადე, თვით ბუნებაც კი შეძრწუნდა და დაიბნა. ცის მნათობნი ისე შეიშალნენ, რომ შუადამისას მზემ გამოანათა და შუადღისას მთვარე ამოციმციმდა; ვარსკვლავები ხომ სამი დღე [illegible] რა, ცა სჭექდა და გრგვინავდა, მთანი ირყეოდნენ, მინდორი «დავტუტუტუ»-ს უგლიდა და მდინარეებმა კალაპოტი იცვალეს. ერთის სიტყვით, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა და პატრონი—ძაღლს.

„მაშინვე მოდა უდლი მოიწოდეს. მოლამ შუბლისა და ხელის ხაზები გამოსინჯა, ქოჩორზედ ორჯელ-სამჯერ ხელი გადამისვა, შავ ტარა დანით შეუღოცა ერთ ჯამ წყალს, მერე შიგ სორბალი ჩაჭყარა და იწინასწარმეტყველა: „გელაჭ, ბილაჭ, ჩოქ ბუუქ ჭყარამზადა

## ფელეტონი

### ალავერდობა

(ამბავი)

ცამეტი სექტემბერი იყო, როდესაც მაია ამურაძის ცოლთან შევიდა მეზობლად მდგომი მელანა ციცქიაშვილის ცოლი და მოახსენა:

— ქალბატონო, ალავერდში ხომ მიბრძანდებით და არ შეიძლება ჩვენც თქვენთან გიახლოთ?

უპასუხა მაიამ:

— აბა რა ვქნა, შვილო, ჩვენც ბევრი ვართ და ერთი პატარა ფიცრის ოთახი ძლივს ვიშოვნეთ და იმაში როგორ მოვეთავსდებით; მერე შენ ბავშვის პატრონი ხარ.

— მე მინდა ბინა თქუენთანა მქონდეს, თორემ სახლში-კი არ შეგაწუხებთ: ეზოში გარეთ ურემ ქვეშ დავდგებით.

— ვინა და ვინ მოდიხართ?

— უბრალოდ არავისაც არ ავიკვიატებ, ბ. და ჩემი კაცი გახლდებით, აქედამ ბავშვს ხელში დავიჭერ და აკვიანს ნინია წამომიღებს, ოღონდ რაგინდარა ურემზედ დამიწყობინეთ.

— მაშ კარგი, —უთხრა მარიამ და წავიდა მელანა სამზადისათჳს.

იმავ დღეს ისინი ალავერდში წავიდნენ და, რომ მიახლოვდნენ, ისეთი ხალხის ჟრიამულის ხმა მოესმათ, ერთმანერთს ლაპარაკს ძლივსღა აგონებდნენ. რომელი თემის ხალხს იტყვით, რომ იქ არ იყვნენ? თუში, ფშაველი, ხევსური, ქისტი, დიდო, ლეკი და ქართუჩლი. ზოგნი სალოცავად მოსულიყვნენ და ზოგნი სავაჭროდ და, რადგან იქ იმდენი სახლები არ იყო, რომ ჰყოფნოდათ, გაემწკრივებინათ, ალაგ კარვები, ალაგ ქოხი და ფანჩატურები; ზოგ გლეხობას ურემი ურემთან მიედგათ, იქ ჯალაბობა შეფარებულიყო და წინ ცეცხლები დაენთოთ.

ჩვენმა მლოცავებმა ძლივს გაიარეს, ჩამოხდნენ სახლში ბინაზედ, მოირთვნენ და წავიდნენ ეკკლესიაში თაყვან-საცემლად. როდესაც იქიდან გამობრუნდნენ, მშვენიერი სურათი დაეხატათ თვალ-წინ: ორს ვერსზედ ყოველ მხარეს ფარნებითა და სანთლებით იყო გაჩაღებული, მოისმოდა სიმღერა, ფერხული და სხვა-და-სხვა საკრავების ხმა; კავკასიის მთის გრილი ნიავი აგრილებდა ამოდენა ხალხით შეგროვილ ჰაერს; გლეხობამ მალე მიჰყო ვახშამს ხელი, გაშალეს სუფრა, გაამწკრივეს სანოვაგეები და შეიქნა ერთმანეთში ჰაშნიკების გადაწვდა და გადმოწვდა. შეზარხოშებული ხალხი გათენებამდის ცეკვასა და ფერხულში იდ არ ისვენებდნენ და მარიამ თავის სახლობით ჯერ სადარბაზოდ იყო მცნობებში და შემდგომ, რასაკვირველია, მიჰყვეს შექცევასა და სიამოვნებას ხელი.

ახალი გარიჟრაჟი იყო, როდესაც ერთი წვრილ-კივილის ხმა შეესმათ, მაგრამ ძილს ვერ ერჩოდნენ და კიდევ რომ ტირილის ხმა მახლობლად მიესმა, მაიამ თვალი გაახილა და დაინახა, რომ მელანა წინ ედგა და ჩასძახოდა:

— ბატონო, გენაცვალე, მიშველე, დავიღუპე!.. წამოჯდა მაია და ჰკითხა: რა არის გოგო, რა დაგმართნია?

— რაღა რა არის, ბატონო! შემიბრალე, დავიღუპე: წუხელ ვიღაც შეჩვენებულს ჩემი ბიჭი ამოუყვანია და სამაგიეროდ აკვანში გოგო ჩაუწვენია!..

— იჰ, რას ამბობ, მელანო! უხუმრია ვისმე!“

— არა, გენაცვალე: ჩემა ფლეთამა და გლეჯამ ქუჩყანა დაწო და, ხუმრობა რომ ყოფილიყო, არ მეტყოდნენ.

— მაშ ეგ რა დასაჯერებელია, თავისი შვილი ისე გაიმეტოს ადამიანმა, სხვის შვილზედ გაცვალოს, თუნდა ქალი კატის კნუტი იყოს და ვაჟი—ოქროს კოჩრიანი?!.“

— ყველას ეგ უკვირს გენაცვალე. თათარი იქნებოდა და ან ლეკი, თორემ ქრისტიანი ამას იზამდა!.. მიშველე, მომეხმარე, დიანბეგთან შემწეობა მომე, დაძებნინოს.

მაიამ საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და უთხრა: დიანბეგთან წავალ, მაგრამ ნინიაც თან უნდა გამოგყვეს.

— ნინია, გაცხარებული დარბის და ხალხში დაეძებს მე, ბავშვის ტირილი რომ შემომესმა, დალალულიი ვიყავი, ის იყო ჩამეძინა, ძილს გვიან გამოვერჩიე და ძუძუს მოსაწოვებლად გათენებულზედ წამოვჯექ და პირს რომ გადავხადე, გაბადრული ბუნჩულა პირის მაგივრად, ნაშწუწა ბავშვი დავინახე. ჯერ მეგონა, თუალმა მომატყუა-მეთქი და საჩქაროდ აკვნიდან რომ წამოვაყენე, შენს მტერს მოსწყდეს წელი, მე წელი მომწყდა: ათი თვის ვაჟის ნაცვლად, სამი თვის გოგო ვნახე. არა, მე იმას ცოცხალს არ გავუშვებ, ეხლავ საქუჩენოდ დავანარცხებ და გავსრეს! ჩემი მშვენიერი ანდროს მაგივრად ის დამიგდეს იმ ჟუსჯულოებმა?!.

უთხრა მაიამ:

— რას გადურევიხარ, გოგო! კაცის კვლისაგან ღმერთმა დამიფაროს! იმის პატრონები, რომ დაგიქდნენ, მაგ საცოდავ ბავშვისა რა ბრალია...

ამ ლაპარაკით გავედით ეზოში. ურემ ქვეშ ნაბადზედ ეგდო ის პაწაწა გოგო და ჩხაოდა.

ოლურ ბუ ქოროვაო *)!" ამასობაში მთიდგან მოწის მკრითა და ბუნების შეშლით გულ-გახეთქილი მთიული მეცხვარეები ბარისკენ წამოვიდნენ და არ იცოდნენ, ცის ასე განრისხების მიზეზი სად შემეტყოთ. ამ დროს მთის იქიდგან ამოვიდა თურმე ერთი „ეკროპის" ბაღიდგან აშვებული „შარი" (ჭაეროსტატი), წამოუძღვა წინ მეცხვარეებს და მოიყვანა დაბა მუშეთს, სადაც მე დავიბადე. „შარიკე" წამოუძღვა ქალაქიდგან ამოსულს მოგვებს, რომლებისაც მამაჩემს ოც-და-ხუთი მანეთი ემართა ფართალისა, და ამათ ნახშირითა და მურით მომილოცეს.

„გაიარა შვიდმა დღემ, რომ თითო გოჯის ოდენა კბილები შემესხა და ცამეტ ურჯულო ენაზედ შემეძლო ლაპარაკი. მაშინვე ავადაც გავხდი, მეტის-მეტმა ტვინმა შემაწუხა და ბოდვა და როშვა დავიწყე. მოუწოდეს იმავე წინასწარმეტყველ მოლას. იმან კარაბადინში ჩაიხედა, სთქვა, ტვინი გასწყალებიაო, და წამლობა დამიწყო. აბები ჩამაყლაპა, მიბოლა, ჟავზი მაჭამა, გეჯაზედ ერთი შუშა მელანი გადამასხა, მერე თავზედ შუბლ-ყურებამდის ფისი გადამაკრა, წვენები შემომაჭირა და სამგან-ოთხგან ბატის ფრთები გამიმაგრა, ტვინი არ გადაუღვაროს და ჭკუა არ გაუფრინდესო.

„არ ვიცი, ჭკუა გამიფრინდა, თუ არა, მას შემდეგ-კი სხეული დამირგვალდა, დამისხვილდა, დამიმძიმდა და ტვინს აღარ შევუწუხებივარ. უფრო-კი საფიქრებელია, რომ გამფრენოდეს, რადგან შემდეგ, როცა მკითხავ კოდელ ნინოსთან ვიყავ „ვეზიტად", იმან მკითხა, რომ ჭკუასთან მწყრალადა ხარ და შენს ქერქში სამოც-და-ცხრამეტი ტარტაროზიც კი დაგაყენებსო. წინასწარმეტყველ მოლას წამალმა ისე გასჭრა, რომ უკეთესი არ შეიძლება: თავზედ გადასხმულმა მელანმა ისე იმოქმედა, რომ ტვინი სულ ერთიანად გამიშელანა. შემდეგში, როცა წამოვზრიტდი და ოთხის წლისა შევსრულდი, ტვინის მაგიერ მელანი ვიხმარე. შელოცვილი ბატის ფრთები ყალმებად გამოვთალე და მწერლობა დავიწყე. პირველ წერილშივე ტყავი გავაძერ მეზობლის უშველებელ დეზებიანს მამალს, რომელიც ჩვენს ეზოში შემოიპარა და ჩვენი ფეხბუშბუშა ქათამი დაჰკლა. ჩემს წერილში დიდის რიხითა ვწერდი, რომ მამალი ქათამს არ უნდა მიეკაროს-მეთქი, და სწორედ იმას გამტკიცებდი, რასაც, აგერ თითქმის ოც-და-ათის წლის შემდეგ, გრაფი ლევ ტოლსტოი ჰქადაგებს თავისს „კრეიცერის სონატაში."

„შვიდის წლისა შევსრულდი, ვიგრძენ ჩემი ბუმბერაზობა, დავწერე გრძელი ეპისტოლენი და ქვეყნის ოთხ-კუთხივ გავფრინე მახარობლების ხელით იმის საუწყებლად, რომ დაბა მუშეთს დავიბადე დევ-გმირი და მოწოდებულ ვარ, რათა პირმან ჩემმან განამრავლოს უკეთურებანი და ენა ჩემი სთხზვიდეს ზაკვასა; ვსჯიდი რა, ძმისა ჩემისათვის ბოროტსა ვიტყოდი და ძისა დედისა ჩემისათვის დავსდვი საცდური. ამ ეპისტოლეს გაგზავნის შემდეგ მრისხანედ ავმხედრდი ზე ჩვილსა ჩოჩორსა ნაშობსა სახედრისასა და ჩაველ ქალაქში.

„გზაზედ სოფლებში სწორედ იმასა სჩრიდნენ ჩემს ტაიჭს ცხვირში, რაც უფრო ძალიანა სძულდა, — პიტნის ფოთოლს. როგორც იყო, ჩაველწიე ქალაქს, მაღვით შევიპარე, მეშინოდა, ვაი თუ ზარბაზნების სროლით მიეგებნენ ჩემს იქ ჩაბრძანებასა-მეთქი, და თოვრაში მივებარე სიბრძნეში განსაწვრთნელად. მაინც კი ვერ ავსცდი დღესასწაულს: პატარა ბიჭებმა იმ ღამეს ძალზედ ჭიაკოკონა დაანთეს და ჩემის მისვლით გახარებულნი ზედა ჭხტოდნენ. თოვრაში ხახამმა კარგად გამწვრთნა და ზედ-მიწევნით შემასწავლა წმიდის უგუნდა წაკითხვა და სიმართლის ჯვარზე გაკვრა.

„თოვრაში რომ განვიბრძენდი კარგად, უნდოდათ ხახამად ვეკურთხებინეთ იქავე, ისე გადავაჭარბე წმიდის უგუნდა გაგებისა და შეტყობის ხელოვნებაში ჩემს მასწავლებელს, მაგრამ არ ვინდომე და გარმიანის ქვეყანაში წაველ, რათა ასრულებულიყო მოლის ნაწინასწარმეტყველევი და გველსავით მეცნიერ შევქმნილიყავ შავის გასათეთრებლად და თეთრის გასაშავებლად. დავყავ იქაც პატარა ხანს, ორიოდე ხრიკი ვისწავლე, „პროკოლოჩკების" გაბმა-გამობმის უნარი შევიძინე და დიდხანს აღარ დავყავი, ვკარი ჩემს თავს მეც პანღური და გამოვიქეც „ნედოროსლად," რადგან გონებით უკვე ლას გადავაჭარბე და იქაური მასწავლებლები სულელებად დავსახე.

„ჩამოველდი ჩემს სამშობლოში, მივატარ-მოვატარე ჩემი ბუმბერაზული თვალები, კალამი გავიმახვილე და სულ ზურგზედ ბოლი ავადინე მართალსაცა და მტყუანსაც. განსაკუთრებით იმ ცრუ-წინასწარმეტყველებს დავმართე ცუდი ამბავი, რომელთაც ჯანაბათის ქვეყნიდგან საუკუდმართოდ მოვლენილ მესიად არ მიცნეს და უნდოდათ გაემართლებინათ ის თქმულება, რომ „არა არს წინასწარმეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელსა შინა თვისსა და სახლსა შინა თვისსაო". წინასწარმეტყველი ვიყავ და ვცდილობდი კიდეც თავი შემერაცხვინებინა.

„ვცადე და ჩემმა ცდამ გასჭრა კიდეც: ჯერ ძალიან დიდი რამე ვეგონე სულელს და თავზედ დამტრიალებდნენ, მერე მიცნეს და ცოტ-ცოტა შორს განმიდგნენ, რა კი, სადაც წაველ, ჩემი უკუღმართობა თან მივიტანე და ოთოთაანთ ქორივით შინაური არ დავინდე და მახლობელი არ დავიზოგე. აქ გადმოვსკუპდი, იქ გადავსკუპდი, ცხრამეტჯერ ვიცვალე ალაგი, ყველგან ბევრი ვიკაკანე, მაგრამ სიკეთე არავისათვის დამიყრია: პირველში თუ ტკბილი ვიყავ, შემდეგ გავმწარდებოდი და შხამად და სამსალად ვიქცეოდი ხოლმე. გაოცებულმა ნაცნობებმა ქმამაშები მოიწოდეს და გამასინჯვინეს. ამ მეცნიერებმა თავის ქალა ამხადეს, ჩაიხედეს, ირწმუნეს ჩემი დევ-გმირობა და საჯაროდ გამოაცხადეს: ეს სულიერი ადამიანის მსგავსი არ არის, არც ერთს თქვენგანს არა ჰგავს, რადგან ტვინი გადმობრუნებული აქვსო.

„ტვინ-გადმობრუნებულებმა რომ არ შემიშვნიეს, გავეცალე უვლას, მცირე თაყვანის-მცემლები მოვიპოვე და მათ შორის დავემკვიდრე. მაშინვე მოსესამებრ მეც მცნებანი დავწერე, ათი-კი არა, ცამეტი და გამოვაქვეყნე მაშრიყ-მაღრიბეთში ჩემთა მოწაფეთა საყოველთაოდ საცნობელად.

„1. მე ვარ დევ-გმირი შენი და არა იყვნენ შენდა ბუმბერაზნი ჩემსა გარეშე.

„2. ესე დევ-გმირი იყოს კერპი შენი, მასა სცე თაყვანი და მასვე ჰმსახურებდე.

„3. ავსა საქმეს, თუნდა არა იტყოდე, იქმოდე მაინც, ვინაიდგან უკუღმართობითა თქვენითა მოიპოვნოთ წყალობა ჩემი.

„4. მოიხსენე შეურაცხ ყოველი იგი, რომელი განმიდგა მე და არა ირწმუნა სიცრუენი უკუღმართობისა ჩემისანი.

„5. არა განაცხადო მართალი და არა ვლიდე გზასა სწადმართოსა, რათა არ გადმოვიდეს წყრომა და მრისხანება ჩემი თქვენზედა.

„6. არა იფიცო სახელი სხვა თვინიერ ჩემისა.

„7. ჭორითა ჩემითა განძღე და სიცრუითა ჩემითა მოიკალ ცნობიერება, თუ გინდა ღირს იქმნე ნაყოფსა ხენესა, ჩემ მიერ მონიჭებულსა.

„8. ცილი სწამე წამებითა ცრუთათა.

„9. გული გითქმიდეს სიკეთისათვის მოძმისა და ავსა მიაგებდე კარგის ნაცვლად.

„10. პირი ჩემი იტყოდეს ჭორსა და იგი იყოს გულის-ხმის ყოფად შენდა.

„11. არ დააცხრო ენაი შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ მოიშლიან ზაკვისა მეტყველებასა.

„12. აღიღე ჭური და ფარი უსამართლობისა და შემომიდეგ მე.

„13. სახელი და ჭორი ჩემი უფლებდეს ზღვითი ზღვადმდე და მდინარითაგან კიდედმდე ქვეყნისა.

„ამას შემდეგ დავიწყე და ვიბრძოდი, ვთარეშობდი, ვღომგულობდი, ვდევ-გმირობდი, ვბუმბერაზობდი, ვსოსლანობდი, ვტარიელობდი და ფერხთა ქვეშე ჩემთა გამქონდა მტერი ჩემი მართალი და მოყვარე ჩემი მტყუანი. გავბერე ტყუილის გუდა და ხმა მისი საამო მოვფინე ქვეყანასა. ჩემი უკუღმართი ასპარეზობა ჯერაც არ გათავებულა და ვგონებ არც გათავდეს, ვიდრე ბოროტი ჰგიებს ქვეყანად, უკუნითი და უკუნისამდე, ამინ".

დუ—კი

*) ღმერთმანი, რჯულმანი, ძალიან დიდი გაიძვერა იქნება ეს ყმაწვილიო.

## სახელდახელო

(ცბად-ასალები წყალ-წასალები ამბები)

ამას წინად ერთმა ჩემმა ამხანაგმა სწორედ რომ გულ-საკლავი წერილი მომწერა: „შე უბედურო და ღმერთ გამწყრალო, რა ეშმაკს გადაეკიდე, რომ წყალ-წასალები ამბების წერა დაიწყეო. ამდენმა წყალ-წასალებ ამბის წერამ ლამის თითონ წყალ-წასალები გაგხადოსო". რაღა თქმა უნდა, რომ ასეთმა დაცინვამ მოთმინებიდამ გამომიყვანა და გულზე ცეცხლი მომიკიდა; ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, „გამაშმაგა არ კაცურად". მაგრამ ჩქარა დავმშვიდდი და დავფიქრდი. დიახ დავფიქრდი. ალბად რაღაც საბაბი ექნებოდა იმ კაცს, რომ ამ ნაირად გამიმეტა-მეთქი. მოგეცა სიცოცხლე საბაბი ბევრი აღმოვაჩინე. ჯერ ერთი რომ მთელი ჩვენი ცხოვრება წყალ-წასალებად გადაქცეულა. მეორე ის, რომ მეც ამ წყალ-წასალებ ცხოვრებაში ვტრიალებ და რა გასაკვირველია, თითონაც წყალ-წასალები ვიყო! ამ ნაირად ჩემის მეგობრის შენიშვნა მართალი გამოდგა და მეც მეტი რა გზა იყო, რომ ამ სიმართლისათვის არ დამემორჩილებია ჩემი გულის წყრომა. სხვა არ იყოს, სირცხვილია, რომ მართლის თქმამა ადამიანი გააანჩხლოს და ადამიანობა დაავიწყებინოს. ჩვენი ძველები იმას ამბობდნენ, რომ

ქმნა მართლისა სამართლისა
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად-ო

ხოლო თუ ძველს დროში „ქმნა მართლისა სამართლისა" ხმელს ხეს ანედლებდა, ახლა, რატომ უნდა გაგირისხდეს ღმერთი ისე, რომ სიმართლის მარტო თქმამ, ნედლი კაცი გაახმოს და სიმართლის გრძნობა დაუკარგოს! სამწუხაროა, როცა ეს ასე არ არის, როცა სიმართლეს მუშტარი დასძვირებია და როცა სიმართლის არა თუ ქმნა, თქმაც გაძნელებულა. რამდენი ხანია, ერთი სიმართლის სათქმელად ვემზადები, მაგრამ ვერ გამიბედავს, ვერ გამიბედავს, რადგან, ვინ იცის, ეგ სიმართლე ეგებ ისეთ ნაირად მიიღონ, რომ სიბოროტე და სიცრუე უწოდონ, მტრობა და შური დაარქვან და სხვ. დრო არის ისეთი, რომ ყველაფერი მოსალოდნელია, თორემ სიმართლე ხომ იმის სიმართლეა, რომ თავისთავად წმინდაა, უხინჯოა და უზადო. მაშ ვერ უნდა შემაშინოს ვერაფერმა, როცა სიმართლე მაქვს სათქმელი. ჯერ კიკიდევ დიდი მარხვაა და ეს სიმართლე თუ ოდესმე გასაღდება, ისევ დიდ მარხვაში.

დიდის სიამოვნებით მივეგებეთ ამას წინად იმ ამბავს, რომ ჩვენში ახალი სასულიერო ჟურნალი დაარსდა, რომლის ორი № უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა. ყველას მოეხსენება, რომ ამ ჟურნალის პროგრამაში ქართულს შესაფერი ადგილი ჰქონდა დათმობილი და სამწუხაროდ, ეს ადგილი ქართულს ენას მართლა მარტო პროგრამაში დაურჩა და ჟურნალში-კი ხელის გულის ოდენა ადგილიც აღარა აქვს. პირველ №-ში კიდევ რაც

---

უთხრა მაიამ.

— მელანო! მიდი, მიხედე, ძუძუ მიე, არ მოკვდეს.

იმან ჯერ ბევრი იუარა, მაგრამ მაიას ჩაგონებასა და ლაპარაკზედ ველარა ქმნა-რა, ძუძუთი გააჩუმა. მაია წავიდა დიანბეგთან და ეს ამბავი აცნობა. დიამბეგმა საჩქაროდ ცხენოსანი იასაულები აქეთ-იქით გაგზავნა საძებნელად, მაგრამ, ცამ ჩაყლაპა, თუ ქვეყანამ, ველარა გაიგეს-რა. მეორე დღეს მაია შინ წავიდა, მელანა და ნინია-კი სწორამდის იქვე დარჩნენ საძებნელად. შემდგომ იმედ-გადაწყვეტილები დაბრუნდნენ ტირილითა და ვაებით. რამდენსამე ხანს უკან მაიას მოაგონდა და ჰკითხა მელანას:

— „ეგ გოგო მოანათვლინე?"

— არა, ბატონო. როდესაც გავსინჯე, უნათლავი იმითი არა სჩანდა, რომ ყელზედ ჯვარი ეკიდა და სახელი-კი რადგან არ ვიცოდით, ნინია—გოგუშკას ეძახის!

— რა სახელია, თორემ...

— ეჰ, ქალბატონო! ჯანი და სული წაუვიდეს, ან ყვავილი წაიტანს შავ ან წითელა.

მაგრამ შენ არ მოგიკვდე, არც ყვავილმა წაიყვანა და არც წითელამ. გაიზარდა და მელანას სამი ვაჟი კიდევ ერთმანერთზედ მოყოლება სხვა მიეცა, მაგრამ ის გოგო ისე შეუყვარდათ, რომ ვაჟებს ერჩივნათ. როდესაც მოიზარდა და ერთ კარგ წიგნითა და ხელ-საქმით განვითარებულს აზნაურიშვილის ცოლს მიაბარეს, მართლა რომ ჭკუიანი და ნიჭიერიც გამოვიდა. თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა როდესაც შეიქნა, თვალ ტანადაც ლამაზი შეხედულობისა დადგა, ბევრს თავადიშვილის ქალს ენატრებოდა იმისი სილამაზე. აქეთ-იქიდამ მთხოვნელი მთხოვნელზედ მოჰსდიოდათ, მაგრამ რა გვეშურებაო, იძახდა მელანა, ეხლა ისე ღარიბიც აღარა ვარ, სამ-სამი ვაჟ-კაციშვილის ჯამაგირს ვიღებთო.

სადაც დღეობა იყო, იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე და ჩვეულებრივ კიდევ წავიდნენ ალავერდში. სადაც ნინიამ ბინა დაჰსდო, მეორე მხარეს, იქვე პირდაპირ თავის ბინიდგან წამოდგა ბარბაცით ერთი ხანში შესული, ღვინო ნასვამი კაცი, რომელსაც ხელადა ხელში ეჭირა და დაიძახა:

— აბა, თქუენი ჭირიმეთ, კაცებო! ეს წმინდა გიორგის ზედაშე დამილიეთ და დამამწყალობლეთ. ახლოს მსხდომთ ჩამოართვეს და თითო-თითოთ ჩამოირიგეს, მოჰყვნენ დალოცვას. ნინიასაც გადმოაწოდეს, დალივა და მისცა ისევ პატრონს. უთხრა ხალხს კიდევ იმან:

— ქიტესა არ მოკვდეს, არ მოგეშოთ, მანამ აგრე აიმ ტიკს არ გამოჰხცლით და ხელი მიუშვირა ერთ უშველებელ ტიკზედ. ადამიანებო! შორი ქუეყნიდამა ვარ მოსული და აგე აის მეილი დამილოცეთ, რომელიც მკითხაეების რჩევით სიკვდილს პირათ გავაგდებინეთ. დალოცვას ამის მადლი. თურმე მიზეზია და აბა ჩუენ რას გავიგებდით; პირი აქეთ ვაქნევინეთ თუ არა და მოჯობინდა კიდეც. დიდმა და პატარამ იმ მხარეს მიიხედეს და დაინახეს საბანში გახვეული ყმაწვილი ბიჭი, ცეცხლა პირას წამომჯდარი; ხალხს გამოუყურებდა. ყველამ ახლა იმის სადღეგრძელო დალია და შეზარხოშებულმა ხალხმა სიმღერა და ცეკვა დაიწყო. ქიტესამ ცოლს უთხრა:

— თინავ! მოდი ჩუჱნც იმათ ბინაზედ გადავიდეთ, ბიჭიც გადვიყვანოთ და თამაშას ახლოს ვუყუროთ!

ცოლმა მიუგო:

— ახა, ვაგლახო, და ვილა გიშლის.

ადგნენ და ნინიას ბინაზედ გადვიდნენ. მელანამ რომ უცხო სტუმრები ნახა, ადგილი უთავაზა, და ისინიც დასხდნენ. ყველანი სიმღერასა და თამაშობაში იყვნენ გართულნი. ცეკვაში გოგოებიც ჩამოერივნენ და ბიჭები ყვიროდნენ—„შაბაშ შაბაშო!" ამ დროს ნინიამ დაუძახა:

— ადე, შენი კუნესამე, გოგუშკი! ერთი შენებურად ჩამოუარე და ეს გოგოები გააფასე.

გოგუშკა რა-კი სათამაშოდ გამოვიდა, ყმაწვილმა ბიჭებმა ტაშს მოუმატეს და შექნეს ყვირილი: „შაბაშ, შაბაშო!" ზოგ-ზოგმა ვაშლში ჩარჭობილი ფული მისცა შაბაშად; ქიტესამ იმის თამაშობაზედ თავი გაიქნივ-გამოიქნივა და ცოლს უთხრა:

— თინავ! ერთი შეჰხედე, ე დალოცვილი, როგორ ციბრუტივითა ტრიალებს ეე! პაპა! პაპა! პაპა!..

კიდევ ხმა მოისმა „შაბაშ, შაბაშ!" ქიტესამ უზალთუნი ამოიღო, გოგუშკასათჳს უნდა მიეცა, მაგრამ გოგუშკა მარდად გატრიალდა და ზურგშექცეულმა ვერ დაინახა. ქიტესამ დაიძახა:

— რა ჰქვიან მაგ ქალს, რომ ჩემკენაც მოეხედოს.

კაცებმა უპასუხეს: „გოგოუშკა ჰქვიან, გოგუშკა!" ქიტესამაც დაიძახა: „გონგუშკი! გონგუშკი!.." ამის გადაბრუნებით სახელის დაძახებაზედ ხალხმა სიცილი დაიწყო და გამოაჯავრეს „გონგუშკი!" მიუბრუნდა ქიტესა და და უთხრა:

— რას დამცინით, შჳლოსა? მე რუსულის პრაში-პრუშის არა ვიცი-რა. მაგი დედა, ჩემამზემ, გასალანძღია: ქრისტიანული სახელი არ ეშოვებოდა, ეგ ქაჯური არ დაერქმია?

ქიტესამ არ იცოდა, თუ ვის ბინაზედაც ისხდნენ, იმათი ქალი იყო. მელანა იმის ლაპარაკზედ გაწიწმატდა და ქიტესას მიუგო:

— ვინც ვისი ამბავი არ იცოდეს, არც უნდა იმის ძრახვა თქვას!..

ნინია მობრუნდა და თქვა:

იყო, იყო, ე. ი. როგორადაც იყო, მაინც იყო ქართული განყოფილება, თუმცა ძალიან მცირე და ძალიან მდარე ქაღალდზედაც დაბეჭდილი. ამ სიმცირესა და სიმდარეს კიდევ თქვენი ჭირი წაუღიათ, არცერთი რუსული წერილი ქართულად არ იყო გადათარგმნილი. ქართული განყოფილება მხოლოდ მთავრობის განკარგულებით იყო გადაჭრელებული. ვიფიქრეთ, რომ ეს პირველი №-ა და შემდეგში ეს ნაკლი გასწორდება და ჟურნალის საქმე მთავრობის მიერ დამტკიცებულის პროგრამის თანახმად ივლისო, მაგრამ ამაშიაც მწარედ მოვსტყუვდით. მეორე №-ში ვერც ერთი ქართული ასო ვერ ვნახეთ. არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს სამწუხარო და თან საკვირველი გარემოება! სამწუხარო იმიტომ, რომ

ხელში საჭერი გვთილი
შეგვქმნა საძებნელია,

ხოლო საკვირველია იმიტომ, რომ
სიტყვა სხვა იყო, საქმე სხვა დარჩა.

რაც აღგვითქვეს და შეგვპირდნენ, ის აღარ აგვისრულეს, და რაც აღგვისრულეს ისიც მცირედ და მდარედ. დაპირების შეუსრულებლობა ყველასაგან შეუფერებელი და უკადრისი საქციელია და მით უმეტეს სასულიერო ჟურნალისაგან, რომელსაც დევიზად მუდამ სიმართლე და ჭეშმარიტება უნდა ეწეროს. ბევრი რამე უნდა გვეთქვა ამ ჟურნალის საყურადღებოდ, თუნდ მარტო იმ პირველის №-ისა, რომელშიაც ქართული განყოფილება ავად თუ კარგად მაინც იყო მოქცეული, მაგრამ ეს შემდეგისათვის გადავდოთ, ახლა-კი მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ქართულიც ვერ ქართულობდა. ქართულის მცოდნე ქართველი იმისის ნახევარსაც ვერაფერს გაიგებდა და რუსულის მცოდნეთათვის მთავრობის განკარგულების თარგმნა, რაღა საჭირო იყო, ვერ გავიგეთ.

თუმცა ყოველივე ეს ასეა, თუმცა ჯერ ხანად ამ ჟურნალმა არა თუ ჩვენი იმედი ვერ გაამართლა, არამედ თავისი პროგრამის შესრულებაც ვერ მოახერხა, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ შემდეგში ერთიც იქნება და მეორეც. ხოლო თუ მაინც და მაინც ეს ასე არ იქნება, ამით თითონ ჟურნალის სახელს ეზარალება, რაიცა, რასაკვირველია, სრულიადაც სასურველი არ არის.

კალამი

## ბ-ნ ქ. მესხის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენ, როგორც სოფელში მცხოვრებთ, გაზეთიც გვიან მოგვდის და იმიტომ გვიან გვეღირსა წაკითხვა ბ-ნ მესხის წერილისა, რომელშიაც ურჩევს დახმარებას ათას-ხუთას ქართველს ლამაზ ქალს საზოგადო კეთილ საქმეში. კარგად უწყებია ბ-ნ მესხს, რომ ასე უანგარიშნია და ლამაზთა რიცხვში მხოლოდ 1500 ჩაუთვლია. ეს გარემოება, არა თუ ქალებს, მგონია, არც კაცებს დარჩეთ საწყენად. ბევრი ისეთი კაცია, რომ ლამაზი არა ჰყავს, მაგრამ ბედნიერად ჰრაცხს თავის თავს, რადგან ჰხედავს, რომ ბევრი ლამაზის პატრონი თავის ცხოვრებაში სასტიკად არის დასჯილი იმ მომხიბლავების წყალობით. მაშასადამე, იქნება ბევრს არც-კი ჰსურდეს იმისთანა სილამაზე, რომელიც სხვასა ჰხიბლავს. ბ-ნი მესხი შემცდარია, მხოლოდ იმაში, რომ მარტო სილამაზე ჩაუთვლია ყოვლის შემძლებლად. ამით, როგორც ქალებს, ისე კაცებსაც, ამცირებს, მგონია. ნუ თუ ყოველი მამაკაცი მარტო სილამაზეს აფასებს და სხვა ღირსებას არაფრად აგდებს? ეს შეცდომაა, მაგრამ რა გაეწყობა, შეუცდომელი კაცი ძვირია ქვეყანაზედ. ამიტომ არც ქართველმა მანდილოსნებმა უნდა იწყინონ ეს საქმე იმდენად, რომ შეძლების დაგვარად ხელი არ გაუწოდონ კეთილ საქმეს. მე როგორც გამიგონია, ბ-ნი მესხი დიდი თანამგრძნობელია [illegible] წარმატების საქმისა ჩვენში და, შეიძლება, მეტის-მეტმა გულ-მოდგინეობამ და საქმის სიყვარულმა ცოტა წაამატებინა და გადააბიჯებინა სიბრძნისა და ზომიერების სამზღვარსა. ყოველ ამის გამო ნამეტანი არ უნდა იუცხოვონ ქართველმა ქალებმა და ეს კეთილი რჩევა ბ-ნ კ. მესხისა არ უნდა დასტოვონ უყურადღებოდ. კერძოდ მე, რადგანაც ბუნებას არ დაუჯილდოვებივარ იმ ბედნიერებით, რომელიც, მესხის აზრით, ვითომ ყოვლად შემძლებელია, ვერაფრისგან ვერას მოვითხოვ და ისევე ჩემის შრომის შეძენილს მოვაკლებ მცირედს ნაწილს და გადავდებ ამ საქმისათვის. ამასთანავე გაახლებთ სამს მანათს გარდასაცემად იმ საზოგადოებისა, რომელსაც ბ-ნი მესხი ასახელებს. აგრეთვე ვეცდები, თუ ვიცოცხლე, რამდენსამე წელს, შეძლების დაგვარად, ყოველ წლობით მოგაწოდოთ ამ დანიშნულებისათვის. ვიმედოვნებ, რომ ყოველი ქართველი ქალი, როგორც ნასწავლი, ისე ჩემებრ შინ გაზრდილი, თავის ხვედრ შემწეობას არ დაიშურებს ამ საქმისათვის.

გულაშელი ქალი

სოფ. გულაში

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში სწორედ ოცი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ფ. მ. რეშეტნიკოვი. გაზეთ „Екатеринбургская Недѣля"-ში დაბეჭდილია ამ გაზეთის თანამშრომელის მოგონებანი რეშეტნიკოვისა და რუსეთის პოეტ ნეკრასოვის შესახებ. ძალიან საყურადღებოა თვით განსვენებულ რეშეტნიკოვის მიერ ნაამბობი ამბავი იმის შესახებ, როგორ დაიწყო პირველად ლიტერატორობა პეტერბურგში. აი რა უამბნია განსვენებულს მწერალს თავისის მეგობრისათვის:

თბილი ტანისამოსი არა მქონდა. ჩემმა მეგობარმა, რომელმაც პეტერბურგში მომიყვანა, მაჩუქა გრძელი დაამბული «შინელი», რომელშიაც ვიყავ გამოწყობილი. ამ „შინელის" [illegible] ძირს დაათრევდა და სულ ერთიანად გატლახიანებული იყო. როცა ნეკრასოვთან მივედი, მოსამსახურემ უკან შემაყენა და შიგნით არ შემიშვა. მე ვუთხარ, ხელ-ნაწერი მოვიტანე-მეთქი, გამომართვა და შეიტანა. პასუხი გამოიტანა, რომ ორის კვირის უკან მოდითო. მივედი, კვლი პასუხს. ზემოდგან ჩამომძახა მოსამსახურემ, რომ მობძანდითო. შევედი იმ წმიდა-წმიდათაში და რასა ვხედავ: კიდეცა კაცი წამოწოლილა სკამ-ლოგინზედ და ჩემს ხელნაწერს კითხულობს:

— თქვენ დასწერეთ.

— დიახ.

— მშვენიერი წერილია და დაიბეჭდება კიდეც.

მერე შემომხედა ამ კაცმა (ნეკრასოვი იყო) და დაუმატა.

— ალბად ფული გჭირთ. გინდათ მიიღოთ რამე?

— ცოტაოდენს რომ მომცემდეთ, კარგს იზამთ.

— გასდით აგერ მარცხნივ ყუთი, აიღეთ რამდენიც გინდათ და მერე აი იმ წიგნში ჩასწერეთ.

გავაღე ყუთი, ფულები ბლომად ეწყო. სისხლი თავში ამივარდა, ყველაფერი მოვიაზრე და, თუმცა თუმნადაც მივცემდი ჩემს «პოდლიპოვცებს», მაინც ორ ოც-და-ხუთიანს დავკალე ხელი.

— რამდენი აიღეთ?

ვაჩვენე.

— ხელი მოაწერეთ და ორის კვირის შემდეგ შემოიარეთ.

მივედი ორის კვირის შემდეგ და ფული ჯერ კიდევ დახარჯული არა მქონდა, მეშინოდა, ვაი თუ უკანს მომთხოვონ-მეთქი.

— თქვენი წერილი ყველას მოეწონა, ყველა აქებს და იმედი მაქვს, რომ მუდმივ თანამშრომლობას გაგვიწევთ. ჰსამსახურობთ სადმე?

— სადამოქონო გარდასახადის დეპარტამენტში ვმსახურობ.

— რა გაქვთ ჯამაგირი.

— თვეში ცხრა მანეთი.

— დაანებეთ თავი სამსახურს და ლიტერატურას მოჰკიდეთ ხელი: ერთი ათად ბევრს მოიგებთ. მგონია რაღაც გროშები წაიღეთ წერილის ფასად?

შევკრთი.

— დიახ, ხუთი თუმანი ავიღე.

— თაბახში ხუთ თუმანს გინიშნავთ, სწორედ იმდენს, რამდენიც დობროლიუბოვსა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გარდა არსად დაიწყებთ წერას... თქვენი წერილი სულ ერთიანად ამოიწყო, $12\frac{1}{2}$ თაბახი გამოდის, ასე რომ კიდევ გერგებათ ჩვენგან 575 მანეთი. აჰა, მიიღეთ და ხელი მოაწერეთ.

მივიღე, ხელი მოვაწერე, მოვედი დეპარტამენტში, სტოლის უფროსი გამოვლანძღე, სამსახურიდგან დამითხოვეს და—მწერალი შევიქენ.

## უცხოეთი

ინგლისი. ამ ახლო ხანში რამდენიმე საქმე პარლამენტისა მიიქცევს საზოგადოების ყურადღებას. ერთი საქმეა მუშათა საქმე, რომლის გასარკვევად იმუშავებს მუშათა კამისია. ამ კამისიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა საპარლამენტო დასის წარმომადგენელნი. მეორე საქმეა ირლანდიის საადგილ-მამულო კანონ-პროექტი. ეს კანონ-პროექტი შარშან წარედგინა პარლამენტს და ერთი ნაწილი მისი უკვე განხილულ იქმნა. კანონ-პროექტის აზრია შეისყიდონ სალაროდ გაცემული მიწები ფერმერებმა სახელმწიფოს შემწეობით. ლიბერალთა დასი წინააღმდეგი იყო ამ პროექტისა უფრო პრინციპიალურად, მაგრამ პარნელმა დიდი მომხრეობა გაუწია და ამიტომ, იმედია, რომ მის შეწყნარებას პარლამენტის მიერ დიდი დაბრკოლება არა გადაეღობება-რა წინ. მესამე საგანია განხილვა იმისი, თუ როგორ მოიხმარონ ის ფული, რომელიც გადარჩა წლიურს ხარჯს შარშან, რადგან შემოსავალმა გადაამეტა გასავალს. ორჯელ ეს ფული მთავრობამ ისეთს საგნებს მოახმარა, რომელიც ქვეყანას არაფრად ეპიტნავებოდა. წელს-კი იმედი აქვთ, რომ ეს ფული მოხმარდება საერო განათლების საქმეს.

საფრანგეთი. მარტის მიწურულებში გაათავა თავისი საქმეები საერთაშორისო კრებამ ქვა-ნახშირის მთხრელ მუშების დელეგატებისამ. ეს დელეგატები პარიჟში შეიკრიბნენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდამ. სულ კრებაზე დაესწრო 99 დელეგატი, რომელნიც იყვნენ წარმომადგენელნი 911,167 ქვა-ნახშირის მთხრელ მუშებისა. სხვათა-შორის სჯა და ბაასი იმაზე ჩამოვარდა, რომ დაარსდეს საერთა-შორისო ფედერაცია ქვა-ნახშირის მთხრელ მუშებისათ. ფედერაციისა და კონგრესის გადაწყვეტილებანი უნდა ეშესაბამებოდეს ფედერაციის

---

— რავქნათ, არც ჩვენ დავარქმევდით მაგ სახელს, თუ-კი მონათვლა ჩვენთან ყოფილიყო!..

მელანამ ქმარს ლაპარაკი აღარ დააცალა და სთქვა:

— ღმერთმა ჩვენი ცოდო ნუ დაულიოს ჩვენს დუხჭირობაში ჩამგდებს, რაც მაგის თაობაზედ ჩვენ მწარე დღეები გამოვიარეთ, მოჰყვა მელანა იმის ამბავს და, როგორც რამ ყოფილიყო, სულ წარმოსთქვა.

იმის ლაპარაკში ქიტესა და თინა ერთმანეთს უყურებდნენ და ნერწყვი უშრებოდათ, მაგრამ ღვინომ გაამხნევა, თავისი ძალა ამოქმედა და მშობლიურმა ჯიგარმა ნება-აღარ მისცა დაფარვისა. ქიტესამ საზარელის ტირილით შეღრიალა, მივარდა გოგუშკას, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. აქ მელანა და ნინია გაჯავრდნენ და შეუტიეს.

— კაცო! თუ ღვინო მოგერია, წადი, დაიძინე, თუ არა და მაგ გოგოს რას ეძგერე, რა შენი ფანდია?!.

უპასუხა ქიტესამ.

— ეს გოგო ჩემი ბიჭისათვის მე უნდა მომცეთ, უსიკუდილოდ მაგის თავს დამნებებელი აღარა ვარ.

ჩაიღიმილა მელანამ და სთქვა:

— აბა, რასაკვირველია, იმისათვის არ გავჰსწიე იმდენი შავი დღე, რომ შორს გადავკარგო!..

— „ქიტესა არ მოკუდეს, თქვენ ჩემი ოჯახი ვერ დაიწუნოთ. ბოდბლის ხევში მე ვინა მჯობს? გუთნეული არ მივარგა თუ?"

მიუგო ნინიამ:

— რაც უნდა იყოს, შორს ვერ გავათხოვებთ!..

— „კაცო! აბა შეჰხედე ამ ჩემ ქოჩორა ბიჭს: თქვენ გოგოზედ ნაკლები სილამაზე აქვს? ცოტა ავადმყოფობამ წაართო ფერი, თორემ თურაშაული ვაშლივითა ღუოდა.

მელანამ მიუგო:

— გასქდეს დედამიწა და თან ჩამიტანოს, მანამ ჩემ გოგუშკას მე იქ გადავჰკარგავდე! ეგ კი არა, ანგელოზიც რომ ჩამოვიდეს!..

ნინიამ უპასუხა მელანას:

— რა ბევრი ლაპარაკი უნდა, ჩვენ ქალის მიმცემი არა ვართ!

გაოცებით შეჰხედა ქიტესამ და სთქვა:

— „მართლა, ადამიანო?!. თუ მაგრეა და მაშ ვიტყვი და, რაც მომივა, მომივიდეს! დაიძახა ხმა მაღლათ: „ხალხნო და ჯამაათნო! მოდით, მოგროვდით, ჩემი ცოდო უნდა ვაღიარო, მეტი გზა აღარ არის: ეს გოგო ჩემია, ჩემი!..

თინამ თვალები დაუბრიალა და უთხრა:

— კაცო! რამ გადაგრია? კარგი, ადე, წავიდეთ.

— სად წავიდე? რას ამბობ, დედაკაცო! მე დაფარვა აღარ შემიძლიან!..

მოუბრუნდა ხალხს:

— ქრისტიანებო! ქუდი დადეთ და სამართალი ჰქენით.

თინამ ამის ჯიუტობასა და ლაპარაკზედ მუხლებში ცემით ვიში და უში დაიწყო, მაგრამ ქიტესა თავისას არ იშლიდა და დაიძახა: აი, მოგიყვეთ:

— სწორედ გეტყვით, კარგი შეძლებული ოჯახი მქონდა; ძმა მე არ გამაჩნდა და შვილი. რამდენჯერაც-კი გაგვიჩნდა, სულ გოგო და გოგო, ნეტავი ეცოცხლათ მაინც: ხუთი-ექვსის თვისა შეიქნებოდა თუ არა და მოგვკვდებოდა კიდეც. ამ უბედურობით ხანში შევედით და ეს გოგო გაგვიჩნდა თუ არა, სულ ავადმყოფი იყო,—გოგუშკაზედ ხელი მიიშვირა ქიტესამ,—და ჩვენ იმედ გადაწყვეტილნი ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვეუბნებოდით, არც ეს შეგვრჩება და რა უნდა ვქნათ? ამოდენი დედულ-მამული ოხრად უნდა დაგვრჩეს და უმემკვიდროდ გავიაროთ? ავიდ-დავიდეთ და მოვიფიქრეთ, რადგან ამ ალავერდში მრავალი მლოცავენი მოდიან, წამოვსულიყავით და, რადგან შორსა ვდგევართ, აქ როგორმე გოგო ბიჭზედ შეგვეცვალა ჩუმათ და ეს განძრახვა ისეც აღვასრულეთ. ეხლა ჰხედავთ ღვთის სამართალს და წმინდა გიორგის სასწაულს, რომ ჩემი ცოდო მოუნანიებელი აღარ ჩამყვება საფლავში!..

ამის მსმენელი ნინია და მელანა სიამოვნით ატაცებულნი გიჟებს დაემგზავსნენ, მიჰსცვივდნენ იმ ბიჭს, გადაეხვივნენ და ტირილით ჩასძახოდნენ: შვილო ანდრო! შენ გენაცვალოს შენი მშობლები! აბა ერთი კარგათ შემოგვხედე, თვალებში გიცნობთ, გენაცვალე, მართლა შენა ხარ ჩვენი ანდრო?!.

მეორეს მხარეს თინამ დაუწყო გოგუშკას კოცნა და თან ბოდიშის ხდით ეუბნებოდა:

— გენაცვალე, რას მოვიფიქრებდით, თუ გაგვეზრდებოდი და მერე მაგისთანა, ეს იმისათვის დაგვემართა!..

აქ მყოფმა ხალხმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა. დედაკაცობა ხან ტიროდა, ხან იცინოდა ამათ ამბავზედ და ბოლოს კაცებმა-კი ერთ ხმად დაასკვნეს, რომ გოგუშკა სწორედ ანდროსთვის უნდა შაერთოთ და ამათი ერთმანეთის მტრობა მოყვრობათ გადაქცეულიყო. რაკი ეს რჩევა დაასკვნეს, ნინიამ და მელანამაც კარგათ მოიფიქრეს. მეორე დღესვე შეიყვანეს ეკკლესიაში და ჯვარი გადაჰსწერეს. ორივე დედ-მამის სიამოვნებასა და სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ჯერ ნინიამ წამოასხა თავის სახლში, ქორწილი გადუხადა და მერმე ქიტესამ წაიყვანა ყველანი თავის ოჯახში და ამით გათავდა ეს შეთხვევა.

ბარბარე ჯორჯაძისა

წევრთა ჭეშმარიტს სურვილსაო, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ თითოეულს დელეგატს ხმაც იმის და შესაფერად ჰქონდეს, რამდენის მუშის მხრითაც არის არჩეული წარმომადგენელადაო. ამ აზრს ადგნენ უფრო ინგლისის დელეგატები. ევროპის სხვა ქვეყნების დელეგატებმა არ შეიწყნარეს ეს აზრი: თქვენში მუშათა ამხანაგობანი მრავლად არსებობს, კარგა მაგრად გიჭირავთ თქვენი საქმე, ბევრნიც მიიღებთ მონაწილეობას ფედერაციაში და მით უმთავრესი გავლენა თქვენ გექმნებათ და უმეტესობაც თქვენი იქმნებაო. ისევ ისა სჯობიან, რომ ეროვნობის მიხედვით იყოს კენჭის ყრაო. ინგლისელმა დელეგატებმა ასე საქმის გადაწყვეტა უსამართლო საქმედ მიიჩნიეს: მაგრე რომ იყოს, რომელისამე პატარა ქვეყნის ასიოდე მუშის წარმომადგენელსაც ისეთივე მნიშვნელობა და გავლენა ექნება ფედერაციის საქმეებზედ, რაოდენიც ინგლისის რამდენსამე ათს და ოცს დელეგატს, არჩეული ნახევარ-მილიონ მუშების მიერაო. ბოლოს ამ საგანზე შემდეგისათვის გადასდეს სჯა და ჩამოაგდეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მუშაობა ქვა-ნახშირის მთხრელთათვის დღეში 8 საათზე მეტს ხანს არ იყოსო. ამ საგანმაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია და კრებამ დაასკვნა, რომ ერთი ძლიერი ღონისძიება მაგ ბედნიერების მისაღწევად არის ის, რომ ერთად ავიღოთ ყველამ ხელი მუშაობაზე ევროპის ყველა ქვეყნებში და მით ჩვენი სურვილი შევისრულოთო. მაგრამაო, დასძინა თან კრებამ, ეგ ძლიერი ღონისძიება ჯერ არ უნდა ვიხმაროთო. ჯერ-ჯერობით სჯობია მივმართოთ ყველა ქვეყნების მთავრობას და ვსთხოვოთ, მორიგდნენ ერთმანეთში შესახებ ისეთის საერთა-შორისო მუშათა კანონმდებლობის, რომელმაც მფარველობა გაუწიოს ქვა-ნახშირის მთხრელ მუშებს და რომლის ძალითაც ყველგან შემოღებულ იქმნას მუშაობა მხოლოდ 8 საათის განმავლობაში.

დასასრულ ბელგიის მუშებმა ითხოვეს, რომ დაგვეხმარეთ ყველა ქვეყნის მუშებოო: ჩვენ პარლამენტის არჩევანებზე ხმა არა გვაქვს, გვინდა საყოველთაო კენჭის ყრა იქმნას შემოღებული და აგრეთვე გადისინჯოს კონსტიტუციაო. ხოლო ყოველ ამის მიღწევისათვის ჩვენ განვიზრახეთ საერთოდ ყველანი გავიფიცნეთ, ავიღოთ მუშაობაზე ხელი, რათა ამით მაინც ვაიძულოთ მთავრობა შემოიღოს საყოველთაო კენჭისყრა და მოგვეცეს ჩვენც საპოლიტიკო უფლებანი, რომელსაც მოკლებულნი ვართო. კონგრესმა ერთ-ხმად შეიწყნარა წინადადება ბელგიელ მუშების დელეგატებისა და აღუთქვა, რომ ვეცდებით, რაც-კი შეგვეძლება, შემწეობა აღმოვიჩინოთ, რომ როგორმე მოგვეპოვებინოთ ეგ უსაჭიროესი და უძვირფასესი უფლება ყოველის ადამიანისა და მოქალაქისაო.

◆◆

## დ ე პ ე შ ა

5 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ გვამი დიდის მთავრინასი ოლგა თეოდორეს ასულისა მიასვენეს პეტრეპავლეს ტაძარში. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ტოხნს სადგურზე მობრძანდნენ განსვენებულის გვამის შესახვედრად. ტაძარში გადახდილ იქმნა ორი პანაშვიდი, რის შემდეგაც ტაძრის კარები გააღეს, რომ მსურველთ მიცვალებულის გვამისათვის თაყვანი ეცათ.

დღეს დილით ხელმწიფე იმპერატორისა და სხვა სამეფო სახლის წევრთა დასწრებით დაასაფლავეს გვამი დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულისა.

სოფია. ბელჩევის მკვლელნი აღმოაჩინეს: თედორე სეტროსი კაატორიელი, რისტო კუტმანოვი ოხრიდელი, კლინისტიჩ მაჩკოვი, ანუ ანგელოვი და რისტო დიმიტრიევი. მკვლელნი 18 მარტს მოვიდნენ ბელგრადში და რკინის გზის სადგურზე მისსიის თარჯიმან დუმასთან საუბრობდნენ, მაგრამ იქიდამ საით გაიქცნენ, ეს ბოლგარიის პოლიციის საიდუმლოა. ანგელოვი, როგორც ფიქრობენ, სერბიაში იმალება. იმ გარემოებას, რომ ბრალდებულთ გაქცევა მოახერხეს, იმითა ხსნიან, რომ მთავრობას თავდაპირველად რევოლუციის შიში ჰქონდა. ამბობენ, სტამბულოვის ეზოში ორი ცხენია შეკმაზული, რათა საჭირო დროს მინისტრს სოფიიდამ გაქცევა არ გაუძნელდეს.

ლონდონი. ბენარესიდამ იუწყებიან, რომ წყლის არხის გასაყვანად ერთი ტაძარი დაანგრიეს და ამის გამო ბენარესში დიდი უწესოება მოხდა. დუქნები დაკეტილია, ქალაქში ჯარია დაყენებული წესიერების აღსადგენად. შანჰაიდამ იუწყებიან, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი მიბრძანდა ვოსუნგში და იქიდამ ხანკოუში გაემგზავრა, ისე რომ შანჰაიში არ გაჩერებულა.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აპრილი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6³/₄ |
| ტამოჟნის კუპონები | 134³/₄ | 135¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 240 |
| —მეორისა | — „ | — „ | 222¹/₂ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — „ | — „ | 217 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101. 62 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 101¹/₂ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა | 98¹/₂ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილის გადაზე გემები.


## განცხადებანი

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# ცვარი

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

აფთ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

. ბ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჭლიის 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

პ. აფერისთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—13)

[illegible] დეპარტამენტის [illegible] მე-191 №-ით.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

# გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

# პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

# სასტუმრო ოთახები
## (Дворянскіе Номера)

(მადათოვის ქუჩაზედ, თავ. ორბელიანის სახლებში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ)

ხელ-ახლად გადავაკეთეთ და მეტად გავაუკეთესეთ ჩვენი ოთახები. ზომიერ ფასად შეუძლიან მსურველს ყოველისავე მოპოვება. სამაგალითო სამზარეულო გვაქვს და აგრეთვე საუკეთესო მოსამსახურენიც. ვინც უფრო დიდხანს ინებებს დარჩენას, იმათ ერთი-ორად უფრო იაფად დაუჯდებათ ცხოვრება. (5—5)

ცენტრალური საგალანტერიო მაღაზია

# პ. ი. ბროდსკისა

(ერევნის მოედანზედ, სემინარიისა და სკვერის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლში)

რადგან ამ მაღაზიაში ვაჭრობა ისპობა, საბოლოოდ იაფად ისყიდება ბევრნაირი საგალანტერიო და ახალ-მოდის საქონელი და საოჯახო ნივთეულობა. ბევრია: ჯერსე, კორსეტები, ქოლგები, ბაშლიკების კასინკები, კოსმეტიური ნივთები, ლამპები, წვრილმანეულობა და სხვ.-და-სხვ.

ქალაქს გარეშე მყიდველებისათვის ჩემი სავაჭრო გადავიტანე შუა-ბაზრის შესავალში, შიოევის სახლებში, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო. (10—5)

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვია 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

წესდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—7)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ქიქოძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 6-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.